საქართველოს მთავრობის

დადგენილება №211

2019 წლის 25 აპრილი

ქ. თბილისი

„კულტურული მემკვიდრეობის ზოგიერთი უძრავი ძეგლისა და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის „დედაენა – ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი“ ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №295 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2018 წლის 5 ივლისის საქართველოს კანონის (3024-რს, 05/07/2018) მე-2 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტების საფუძველზე, „კულტურული მემკვიდრეობის ზოგიერთი უძრავი ძეგლისა და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის „დედაენა – ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი“ ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №295 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 15/04/2014, 450030000.10.003.017915) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კულტურული მემკვიდრეობის ზოგიერთი უძრავი ძეგლისა და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისთვის – „დედაენისთვის“ (ქართული საანბანო სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი) ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის განსაზღვრის შესახებ“.

2. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1**. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმის – ნაკრძალის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ძეგლებს: არმაზისციხეს, მცხეთის აკლდამას, ბებრის ციხეს, არმაზისხევის კომპლექსს, სამთავროს სამაროვანს, ნამოსახლარებსა და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს – „დედაენას“ (ქართული საანბანო სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი) განესაზღვროს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**